ოქმი:**ო31.31212071**
თარიღი:**26/07/2021**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №7

ქ. ლანჩხუთი

20. 07. 2021 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-ახალი ძალა თვითმმართველობის განვითარებისათვის“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბიძინა იმნაიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ომარ ჯანაძე, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ურუშაძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის

30 ივლისი, 11:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის მომართვის საფუძველზე მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის ნაცვლად, მომხსენებლად წარდგება ამავე სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ურუშაძე. ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი პაატა ურუშაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ომარ ჯანაძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სსიპ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის“-სთვის (ს/კ 203851509) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ომარ ჯანაძე/

6. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო **პაატა ურუშაძემ.** მისი განმარტებით, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.112.016325) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები სამსახურის ფუნქციებია:

ა) განათლების,კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ბ)სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების, მუნიციპალური მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების და კულტურის სხვა დაწესებულებების, მუნიციპალური სპორტული და ახალგაზრდული დაწესებულებების კოორდინაცია;

გ) ძეგლთა დაცვის განვითარების მუნიციპალური პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

დ) წინადადებების შემუშავება მის სფეროს მიკუთვნებული დაწესებულებების შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე;

ე) დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელება;

ვ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - ძრეწველები“, „ქართული ოცნება - ახალი ძალა თვითმმართველობის განვითარებისათვის“, „ლანჩხუთის განვითარებისთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ურუშაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ომარ ჯანაძემ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულმა აუქციონატორმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონებაზე, კერძოდ (ს/კ 27.04.51.692); (ს/კ 27.02.41.366); (ს/კ 27.02.41.163); (ს/კ 27.02.41.367); (ს/კ 27.02.42.154) ორჯერ უზრუნველყო ელექტრონული აუქციონის მოწყობა - როგორც საწყისი საპრივატიზებო საფასურით, ასევე განმეორებითი 30%-ის შემცირებით, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი პრივატიზება არ განხორციელდა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნულ მოძრავ ქონებაზე ისევ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი, რომლის საფუძველზეც მომზადდა წარმოდგენილი პროექტი, სადაც ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური 55%-ით შემცირდა. ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება 50%-ს ქვემოდ ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა განიხილოს წარმოდგენილი პროექტი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას,

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთის განვითარებისთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ომარ ჯანახაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2021 წლის ივნისის თვეში შემოსულობებმა 7824091.96 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 50.9%-ს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1744583.7 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 37.7%; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 1694583.7 ლარი, რამაც წლიურ შესრულებასთან შეადგინა 37.0%; მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 340334.82 ლარი, რაც წლიური გეგმის 69.3%-ია. საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 6079508.26 ლარი შეადგინა, რაც წლიურ საპროგნოზო მაჩვენებლის 56.6% -ს შეადგენს, დღგ-მ შეადგინა 3763672.51 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 50.0% შეადგინა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი 58112.79 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 116.2% შეადგინა. მათ შორის-ფიზიკური პირებიდან 42782.89 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 142.6% შეადგინა, იურიდიული პირებიდან-15329.99 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 76.6% შეადგინა. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი- 96749.27 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 15.1% შეადგინა. სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 1470680.15 ლარი, გეგმის 82.9%. მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 33855.14 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 22.6% შეადგინა; იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსავალი 17021.89 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 170.2% შეადგინა; ადმინისტრაციული მოსაკრებლის შემოსავალი 10739.65 ლარი, რამაც წლიური პროგნოზის 46.7% შეადგინა; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 1356298.83 ლარი-წლიური პროგნოზის 90.4%, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 47151.53 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან (რეალიზაცია) მიღებულია 319511.3 ლარი.

განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 8251689 ლარი. ივნისის თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 2503391 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 1065424 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 2451705 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 300171 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 2630150 ლარი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიში ცნობად იქნას მიღებული.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მისი განმარტებით, ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N330 განკარგულებაში მიმდინარე წლის 11 ივნისის საქართველოს მთავრობის N969 განკარგულებით შესული ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 460,0 ათასი ლარი, მოქალაქეთა დაზიანებული სახლებისათვის პროფნასტილი მასალების შეძენისათვის.

ა(ა)იპ-დან შემოსული მომართვების (N45,29,06,2021) განხილვის შედეგად მიზანშეწოლილად ჩაითვალა ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 40,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის (ორგ.კოდი 03 01) დაფინანსება ნაგვის ურნების შეძენის მიზნით გაიზარდოს 48,0 ათასი ლარით.

გაიზარდოს მუნიციპალიტეტის გარე განათების არაფინანსური აქტივების მუხლი 80,0 ათასი ლარით სპეც. ტექნიკის შესაძენად.

გაიზარდოს ჯანდაცვის ობიექტების ღონისძიებების არაფინანსური აქტივების მუხლი 2,0 ათასი ლარით.

საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გადასახდელებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს 9211,1 ათასი ლარით, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადი 8211,1 ათასი ლარი, ანუ გაიზარდოს 690,8 ათასი ლარით, ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი 1000,0 ათასი ლარი, ანუ შემცირდეს 300,0 ათასი ლარით.

გაზრდილი ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნას დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმის ზრდის ხარჯზე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით ამჟამად მიმდინარეობს კორექტირების პროცესი და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ უახლოეს პერიოდში წარმოდგენილი იქნება დაზუსტებული მონაცემები.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სსიპ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის“-სთვის (ს/კ 203851509) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ომარ ჯანაძემ.** მან აღნიშნა, რომ რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა (კანცელარიის N 10-302116064-30) სსიპ „საქრთველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ“ (ს/კ 203851509) რომლითაც მოთხოვნილია ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა N 76 - ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.002.01.500) პირველ სართულზე მდებარე N19 (19,67 კვ.მ) ფართის გამოყოფა საწყობის მოსაწყობად. აღნიშნული ფართი სსიპ-ს ესაჭიროება საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა სსიპ „საქრთველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია“-ს (ს/კ 203851509) სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით ცსკოს არსებობის ვადით გადაეცეს ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩა N 76 - ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 27.06.52.002.01.500) პირველ სართულზე მდებარე N19 (19,67 კვ.მ) ფართი საწყობის მოსაწყობად. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა).

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონიბის „სსიპ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის“-სთვის (ს/კ 203851509) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთის განვითარებისთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ომარ ჯანაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების

პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.

მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ბიუროს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩახვაძე.**

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომაზე სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მომართა მოქალაქე იური ჩხაიძემ. ასევე, მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ყოფილი და მოქმედი თანამშრომლების ერთობლივი განცხადება იმის თაობაზე, რომ საკრებულოს ბიუროს და შესაბამისი კომისიების მიერ მოხდეს ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა.

მოქალაქე **იური ჩხაიძემ** პირველ რიგში ყურადღება გაამახვილა მგლების მიერ პირუტყვის დაგლეჯის ფაქტებთან დაკავშირებით, რამაც ამ ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტის მასშტაბით მასიური ხასიათი მიიღო. მტაცებელი ცხოველი, გარდა იმისა, რომ ანადგურებს პირუტყვს, რითაც ძალიან ზარალდება ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე საფრთხეს უქმნის ადამიანებსაც. მოქალაქეს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ფაქტების შესახებ წერილობით ეცნობოს მთავრობას, რათა განხორციელდეს მონიტორინგი და მოხდეს მგლების სტატისტიკური აღრიცხვა. ასევე, უნდა შეიქმნას მონადირეთა სპეციალური ბრიგადები, რომლებიც გარკვეული ანაზღაურების საფასურად განახორციელებენ იმ რაოდენობის მტაცებელი ცხოველის ლიკვიდაციას, რასაც მთავრობა დაადგენს.

მერის მოადგილის **ბიძინა იმნაიშვილის** განმარტებით, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული იყო მოსახლეობის არაერთი წერილი, რომელთა საფუძველზეც მოხდა მთავრობისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმირება, საიდანაც მოვიდა ნებართვა ხუთი ერთეული მგლის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, რაც პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისი ნამდვილად არ არის.

საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** განცხადებით, აღნიშნული ფაქტების შესახებ წერილობით ეცნობება მთავრობას და შესაბამის სამინისტროებს. ამასთან, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე ჩაერთვება და უხელმძღვანელებს სამუშაო ჯგუფის შექმნის პროცესს. ასევე, სასურველია მოქალაქე იური ჩხაიძემ თავის მხრივ მიიღოს მონაწილეობა, რადგან ამ კუთხით აქვს გარკვეული წილი გამოცდილება.

ამის შემდეგ, მოქალაქე **იური ჩხაიძემ** თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას შეძლებისდაგვარად მოაწესრიგონ ფერმებთან მისასვლელი გზები და ელექტროფიცირების საკითხები. მან იქვე დასძინა, რომ მუნიციპალიტეტისთვის ტრაქტორების შესაძენად გამოყოფილი თანადაფინანსების თანხა, სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში, დარჩეს ადგილზე და მოხმარდეს მუნიციპალიტეტს.

ამის შემდგე, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ყოფილი და მოქმედი თანამშრომლების სახელით **გივი იმნაიშვილმა** საკრებულოს ბიუროს მოახსენა, რომ ლანჩხუთის კულტურულ დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულთა ზეწოლისა და შრომით საქმიანობაში ხელშეშლის შედეგად დავით წერეთელმა უკანონოდ გაათავისუფლა შემდეგი პირები: წამყვანი სპეციალისტი თამაზ ცინცაძე, ლოტბარი ავთანდილ მახარაძე, ქორეოგრაფი მელის ნადირაძე, რომლის გათავისუფლებაც სასამართლოს მიერ უკანონოდ იქნა ცნობილი და ის აღადგინეს სამსახურში. ასევე, ის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა დისკრიმინაციის ნიშნით გათავისუფლებულად. ამასთან, კულტურის დაწესებულებას დაეკისრა მელის ნადირაძის სასარგებლოდ 9000 ლარზე მეტის გადახდა. კულტურის ცენტრის მენეჯერის გივი იმნაიშვილის გათავისუფლება ოზურგეთის რაინულმა

სასამართლომ ასევე უკანონოდ ცნო და კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას დაეკისრა მის სასარგებლოდ 8560 ლარის გადახდა. დავით წერეთლის მხრიდან უკანონო ზეწოლისა და სამუშაო პირობების უკიდურესად გაუარესების გამო სამსახური მიატოვეს მომღერლებმა: ლაშა კეჭაყმაძემ, ზური კეჭაყმაძემ, გიზო ჩერქეზიამ. ასევე, მოცეკვავეებმა: გურამ ურუშაძემ, მალხაზ ბებიამ, გიორგი ხიხთიბიძემ, გიორგი ახვლედიანმა, ანრი ჯიხვაძემ, თამაზ ნადირაძემ. ამასთანავე, სერიოზულად დაზიანდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,მხედრები", რომლის შემადგენლობაში 25 კაციდან დარჩენილია 10 პიროვნება. გარდა ამისა, დავით წერეთლის მიერ დანიშნული ადმინისტრაციული მოხელეების და უშუალოდ შემოქმედებით პროცესში ჩართული პირების ხელფასებს შორის არის ძალიან დიდი სხვაობა, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ ამ უკანასკნელებმა მიატოვონ სამსახური.

გარდა ამისა, დავით წერეთელი და მისი მოადგილე ოთარ ქათამაძე სრულ განაკვეთზე დასაქმებულები არიან ბათუმის სახელმწიფო თეატრში. ორივე მათგანი ასევე სრულ განაკვეთზეა ლანჩხუთის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში, რაც დაუშვებელია. ამ გარემოების გამო დირექტორი და მისი მოადგილე ფაქტობრივად არ დადიან სამსახურში.

ასევე, მნიშვნელოვანი დარღვევებია კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მიერ განხორციელებულ შესყიდვებში. მაგალითად: სიმღერის ანსამბლის წევრებისთვის შეძენილ ყაბალახში, ერთ ერთეულში გადახდილია 142 ლარი, მაშინ როცა გაერთიანებაში ძალიან ბევრი პრობლემაა, მათ შორის ჰიგიენურ-სანიტარული თვალსაზრისით.

გივი იმნაიშვილის განცხადებით, ზემოაღნიშნულის შესახებ არაერთხელ მიმართეს მუნიციპალიტეტის მერს, მაგრამ არანაირი რეაგირება საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, ისინი მიმართავენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თხოვნით, შეისწავლონ აღნიშნული საკითხები და კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მიერ თანამდებობის დატოვებასთან დაკავშირებით, რადგან სახეზეა სერიოზული დარღვევები ა(ა)იპ-ის ადმინისტრირების, დასაქმებულების შრომითი უფლებების შელახვისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვაში. ასევე, მუნიციპალიტეტის კოლეგიალური ორგანოების (ბიურო, კომისიები, საკრებულო) უახლოეს სხდომებზე განიხილონ ლანჩხუთის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების საქმიანობა დავით წერეთლის დირექტორად დანიშვნის შემდეგ.

გარდა ამისა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა დიდი უკმაყოფილება გამოხატეს დავით წერეთლის, პირველ რიგში-არაკოლეგიალობის გამო. არავითარი მხარდაჭერა მუზეუმის საქმიანობის ნორმალურად წარმართვაში მისგან მუზეუმს არ აქვს. ერთი წლის წინ, საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით უნდა განხორციელებულიყო ხელფასების მატება მხარეთმცოდნეობისა და ეგ. ხინოშვილის სახ. მუზეუმების თანამშრომლებზე, რაზეც დავით წერეთელმა პანდემიის მოტივით უარი განაცხადა, თუმცა პანდემიას მისთვის ხელი არ შეუშლია ახალი თამანშრომლების აყვანასა და მისთვის სასურველ პირთათვის ხელფასის მატებაში.

გივი იმნაიშვილის განცხადებით, ასევე ითხოვენ განხორციელდეს საბიუჯეტო სახსრების მონიტორინგი. იმ შემთხვევაში, თუკი მათი ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იქნება, ისინი მიმართავენ ყველა შესაბამის ინსტანციას, მათ შორის, თანამდებობის პირების საქმიანობის მაკონტროლებელ ორგანოებს და სახელმწიფო აუდიტს.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა **დავით წერეთლმა** თავის მხრივ აღნიშნა, რომ მის მიმართ წამოყენებული ბრალდებები უსაფუძლოა და მისი ხელმძღვანელობის პერიოდში განხორციელდა მრავალი კულტურული თუ შემოქმედებითი ღონისძიება, როგორც ადგილობრივად, ასევე გასვლითი სახითაც. გარდა ამისა, ჩატარდა არაერთი ინფრასტრუქტურული სამუშაო, რომლის ფარგლებშიც რეაბილიტირდა და კეთილმოეწყო როგორც გაერთიანების დაქვემდებარებაში არსებული შენობები, ასევე მათი მიმდებარე ტერიტორიებიც. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, კულტურულ სივრცეებში გარკვეულ წილად განახლდა როგორც აპარატურა და ინვენტარი, ასევე სასცენო მოწყობილობები. ასევე, განახლდა და მოწესრიგდა მომღერლების და მოცეკვავეების სასცენო კოსტიუმები და აღჭურვილობა. რაც შეეხება,

კადრების აყვანას, რეორგანიზაციის შედეგად მოხდა ზოგიერთი შტატგარეშე მომსახურე პერსონალის შტატში აყვანა, რამაც გამოიწვია თანამშრომელთა რაოდენობის მატება. ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის განცხადებით, ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვას, ადგილი არ ქონია, რაც საჭიროების შემთხვევაში, დადასტურდება აუდიტორული შემოწმების შედეგად.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ეს საკითხი დაეწერა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას და შესაბამისად განიხილავენ უახლოეს სხდომებზე.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი